

ს ი ა ნ ბ ი

ქართული
ბიბლიოთეკა

ქალაქი აივანს

ქალაქსაბჭოთა ჯარების მოსპობის ამოცანის გასაადვილებლად... გერმანელები იმასაც კი არ მოერიდნენ, რომ გამოიგონეს საბჭოთა არმიის განსაკუთრებული შენაერთები, ხოლო შემდეგ „მოსპობილ“ საბჭოთა ნაწილების სიაში შეიტანეს და ამით სრულიად „იოლად“ გაჟღიბეს ისინი.

ნახ. გ. ლომიძისა.

საბჭოთა ინფორმბიუროს ცნობიდან



წითელ ჯარისადმი აღსავსეს შხამითა, ცოფი არ ახვენიებს დღისით და ღამითა, და რადკან ბრძოლებით ვერა სპობს იმათა — შიტლერმა „უებარ“ ახალ ხერხს მიმართა:

პრაიმის პარტია

„უნგრეთის პრემიერ მინისტრის კალაის პარტიას, რომელსაც დამარსებელმა უწოდა „უნგრეთის სიცოცხლე“, აღშფოთებულმა ხალხმა „უნგრეთის სიკვდილი“ დაარქვა.

ნახ. მახინასი

გაზეთებიდან.



უნგრეთის სიცოცხლე დაარქვა კალაის პარტიას თავისა. და ამით პრემიერს უნდოდა შენიღბვა განზრახვის ავისა. მაგრამ ხალხს მშფოთვარეს კალაი, — ვერა, ვერ არწმუნებს ძალათი: დაარქვეს პარტიას — „სიკვდილი“ და მას კი — უნგრეთის ჯალათი.

საწერ მაგიდაზე ეკვეთა სიებსა და კალმით „სპობს და სპობს“ ჩვენს დივიზიებსა. მას კი არ კოთხულობს — „როგორ და საიდან?“ იცის, რომ... ქალაქი უველაფერს აიტანს.

ლაქკა მოხელის

მოხსნავს და მოსიხინებს არიული გველის მოდგმა, მოაქვს ცეცხლი, უკან მოხდევს ფერფლი, ცრემლი, კვნესა — მოთქმა, და ჩვენს დოვლათს, ჩვენს მიწა-წყალს შრომის ოფლით დანაკურებს სისხლიან თათს უპოტინებს, ნოქავს, ანგრევს და ანადგურებს.

ლაშობს მონად გაგვიხადოს, ლამობს ხუნდი გაგვიყაროს, და ჩვენს სახლკარს თვითონ ბილწი დაეფულოს, გაიხაროს, არ აღირსო პირისისლიანს ამნაირი თუნდაც წამი, რომ ჩვენს გულში ჩააწვეთოს მან მონობის ბილწი შხამი. დაჰკა მომხდურს, დაჰკა შედგარად, ააღლევ მზეზე ხმალი, რომ ვით მხოხავს, სამუდამოდ გადაუტყუდეს ხერხემალი.

თავჩაქნიან კავკასიონს, არწივების მზრდელს და მკვებავს, განა ჩვენი დიდების მზე მეწამულად მიტომ ღებავს, განა დროშა ვაჟკაცობის, ხალხთა ძმობის მოცაქულად, მის მწვერვალზე, მძლე მარჯვენით იმისათვის აღმართულა, რომ მის შვილთა ოხვრა-კვნესამ შესძრას მისი ბუე და ზღურბლი და წყვილიაღმა კვლავ შეტმუნოს მწუხარებით მისი შუბლი? არასოდეს! არასოდეს ჩვენ მონები არ ვიქნებით, აქეთ გვისმობს ჩვენ სამშობლო ცეცხლიანი მოწოდებით: დაჰკა მომხდურს, დაჰკა შედგარად, ააღლევ მზეზე ხმალი, რომ სისხლიან მხოხავს ურჩხულს ჩაუღლეწო ხერხემალი.

გადათიეთ მტრის ურდოებს წარსულშიაც ბევრჯერ სურდათ, ჩვენი ქვეყნის წმინდა მიწა დაეპყროთ და გაეჭურდათ, მაგრამ მუდამ ჩვენი ხალხი დუშმანს რკინის მკლავით ხევდა, ის კვდებოდა, მაგრამ მონის ხვედრს არასდროს არ ირჩევდა. ამ სიმტკიცით, ამ ხიმედგროთ, ამ ვაჟკაცურ ძალით სავსე ჩვენი დროშა ისევ ელავს კავკასიის მთების თავზე,

დიდ წარსულის დიდი სწრაფვა არ ჩაქრება არასოდეს, და სამშობლოს დასაცავად გამირობისთვის მოგვიწოდებს. დაჰკა მომხდურს, ფხა შემატე მამაბაბის გამიროულ ხმალსა: დაჰკა შედგარად, შენ მით იცავ შენს სახლკარს და მიწაწყალსა.

ომახი მდებარეობა.



— სამხრეთში დიდი სიცხეები სცოდნია.
— ალბად ამიტომ არის, რომ რუმინელთა ჯარის ნაწილები კავკასიაში თანდათან დნებიან.

თავთმავრიან თოკაგვარე

დუჩე მუსოლინის წეწუხება თერთმეტიდან-თორმეტ საათამდე არ შეიძლება. ამ საათებში იგი ღმერთებს ესაუბრება, რომლებიც ბერლინიდან რომს მოვლენიან.

— აი როგორ იწყება დუჩე მუსოლინის სამუშაო დღე: თორმეტს ხუთმეტი წუთი რომ უკლია, დუჩე უკვე პიტლერის წარმომადგენელ გენერალ ფონ-მეკენზის მისაღებ დარბაზის კარებთან არის ატუხული. იგი მოწიწებით ეკითხება მორიგე მსახურს:


- უკვე იწყება გამოღვიძება მათმა კეთილშობილებამ?
- არა, პატივცემულო. ჯერ არ გაუღვიძნია მათ კეთილშობილებას, დაცდა მოგიწევს.
- „დიქტატორი“ ნაძალადევი მოთმინებით ჯდება კუთხეში.
- დილინის ლოდინის შემდეგ მას უფლებას აძლევენ შევიდეს გენერალთან.
- იტალიის რკინიგზები გადავა გერმანელთა კონტროლის ქვეშ, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად უბრძანებს მეკენზი. დუჩე ბლოკნოტში იწერს ბრძანებას.
- რომის სადგურის უფროსად დაინიშნოს გერმანელი. ჩაიწერეთ? შემდეგ: — ბრედეს ქარხნები — ტივოლის მახლობლად გადაკეთდეს გერმანიის თვითმფრინავების შემკეთებელ ქარხნებად შემდეგ: იტალიის მსხვილი მალაროებისა და ქარხნების მართვა ამიერიდან გერმანელთა ხელში გადავა, რისთვისაც რომში უკვე ჩამოვიდა რვაათასი ჩვენი მონღოლე. — ახლა, შეგიძლიათ წახვიდეთ. შემდგომ ინსტრუქციებს მიიღებთ ხვალ თერთმეტიდან-თორმეტ საათამდე.
- ხოხვით და მოკრძალებით თავს უკრავს მუსოლინი. შემდეგ გამოდის, მანქანაში ამაყად ჯდება, როგორც რომის კეისარი.
- თავის კაბინეტში ბენიტო მუსოლინი ღებულობს იმ პოხას და კილეს, როგორც გერმანელ გენერალს ჰქონდა მასთან ლაპარაკის დროს:
- მე ვბრძანებ, — ეუბნება იგი თავის მინისტრებს, — მე ვბრძანებ იტალიის რკინიგზების მმართველად მოწვეული იქნენ გერმანელები, რადგან იტალიელებს სწყენს ორთქლმავლების ბოლი. — რომის სადგურის უფროსად დაინიშნოს გერმანელი, რადგან რომელიმე სათვის თავსატეხი სამუშაო სადგურის უფროსობა, და როდესაც მთლიანად „ბრძანებს“ დუჩე ბლოკნოტში ჩაწერილ გერმანელ გენერლის ბრძანებას, მაღალსულოვნად დასძებს:
- ახლა, შეგიძლიათ წახვიდეთ. ჩემს შემდგომ ინსტრუქციებს მიიღებთ ხვალ... თორმეტიდან — პირველ საათამდე.

ნახ. ი. კროტკოვისა

გ ე თ ა ნ ა ს ნ ო რ ე უ ბ ა



1. გერმანიაში: გერმანელ-ჯარისკაცს ათანასწორებენ ლომთან.



2. საბჭოთა კავშირში: გერმანელ-ჯარისკაცს ათანასწორებენ... მიწასთან.

ურონტის იუმორი

მათი უკმაყოფილება

— დასწყველოს ეშმაკმა! რუსები უწყსოდ იყენებენ თავიანთ იარაღებს.

— ამას რაზე ამბობ, ფრიც?

— როგორ არა ვთქვა: ტანკსაწინააღმდეგო იარაღებიდან ჩვენ თვითმფრინავებს აგდებენ ძირს და საზენიტო არტილერია კი, არა ერთგზის, ანადგურებს ჩვენს ტანკებს.

(„სადარაჯოზე“)

ბერლინის სადგურში

— რად მოიკლა თავი იმ ჯარისკაცმა ნეტავი?

— ეჰ, ვილლი, ის მოიქცა ძლიერ გონიერად. ავალეზდნენ ათასი კილომეტრი ემოგზაურა, რომ იქ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მიეღო შუბლში ტყვია. მან ამჯობინა აქვე გაეთავებია საქმე.

(„სამშობლოსათვის“)

კარგი სისწრაფე

— მითხარით, ამხანაგო ტანკისტო, რა სისწრაფე აქვს თქვენს ტანკს?

— ჩემი ტანკი საათში გადადის ასი გერმანელი ოკუპანტის გვამზე.

(„შეტევა“)

მოხარებაზული შოჟარკი

ერთხელ პიტლერი და გერინგი ავტოთი მიდიოდნენ სოფელზე გავლით. შოფერმა მოულოდნელად დაამუხრუჭა: ძაღლს გადაუარა და გასრისა. პიტლერი განერვიულდა, ვინაიდან მოსალოდნელი იყო უსიამოვნება შეხვედროდათ ძაღლის პატრონის მხრით. შოფერს დაავალეს გადაეცა ძაღლის პატრონისათვის სამწუხარო ცნობა. რამდენივე ხნის შემდეგ შოფერი დაბრუნდა და თან მოიტანა ბევრი საჩუქრები.

— ეს სად იშოვნე? — ჰკითხა პიტლერმა გაკვირვებით.

— მე ვუთხარი ძაღლის პატრონს: „მე პიტლერის შოფერი ვარ. მოკვდა ძაღლი“. — იმას ძლიერ გაუხარდა და მაჩუქა ყველაფერი ეს.

(„სამშობლოს სადარაჯოზე“)